

## მედიაციის ისტორია<sup>1</sup>

### ეპიზოდი I

#### სალონი

ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებებში მიღებულია, რომ საგნის ისტორია და მსჯელობა საგნის შესახებ<sup>2</sup> საბერძნეთიდან უნდა დაიწყოს. ისტორია იწყება საბერძნეთიდან, იმ შემთხვევაში, თუკი არ არსებობს შანსი უფრო შორს გადავწიოთ სამიზნე საგნის გენეზისი. მსჯელობა იწყება საბერძნეთიდან, რამდენადაც უტყუარად-მიჩნეული-ამოსავალი მსჯელობის აუცილებელ დასაწყისად არის დადგენილი. ხოლო მეცნიერებისათვის ყველაზე უტყუარი ამოსავალი ისტორიული ფაქტია<sup>3</sup>.

სახელი, რომლითაც მედიაციის ისტორიის I ეპიზოდის შესახებ მსჯელობას დაედება საფუძვლად, ისტორიის კუთვნილებაა და არის – **ასპაზია.**

ასპაზიას სახლი<sup>4</sup> ათენის ცნობილი და გავლენიანი ხალხის თავშეყრის ადგილი იყო. ასპაზიას შესახებ ვიცით, რომ ის ჯერ პერიკლეს მეგობარი იყო, შემდეგ კი მისი ცოლი. პერიკლეს სიკვდილის შემდეგ ასპაზია ცოლად გაჰყვა სახალხო ბელად ლიზიკლეს, რომელიც განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა.

ასე რომ, ასპაზიას შესახებ ჩვენ ვიცით, რომ 1) მისი სახლი ინტელექტუალების და პოლიტიკოსების თავშეყრის ადგილი იყო 2) ასპაზიას მჭიდრო (ყველა გაგებით) ურთიერთობა ჰქონდა ძალაუფლებასთან (მის კონკრეტულ წარმომადგენელთან).

ასეთი ზედაპირული განხილვის შედეგადაც კი ასპაზია გვევლინება ორბუნებოვან არსებად, სფინქსად, კენტავრად: მისი ერთი მხარე მიმართულია ინტელექტუალებისაკენ, საზოგადოებისაკენ<sup>5</sup>, ხოლო მეორე მხარე კი – ძალაუფლებისაკენ.

<sup>1</sup>Gigi Tevzadze, *Der Salon als Instanz einer Vermittlung zwischen Staat und Gesellschaft. Eine Studie zur Geschichte literarischer Vermittlung*. In: Europa-ein Salon? Beiträge zur Internationalität des literarischen Salons. 1999. Pp: 80-88. - ტექსტის გერმანულენოვანი ვერსია.

<sup>2</sup> რაც ერთი და იგივეა

<sup>3</sup> ამის ყველაზე კარგი მაგალითი საბუნებისმეტყველო მეცნიერების ექსპერიმენტული და დაკვირვების მონაცემია, რომელიც, მაშინ, როდესაც მას მეცნიერი იყენებს და იწყებს მსჯელობას მასზე დაყრდნობით, ფაქტობრივად ისტორიულია და წარსულის კუთვნილება.

<sup>4</sup> რომლის ხშირი სტუმარიც სოკრატე იყო

<sup>5</sup> უფრო სწორედ, ინტელექტუალთა საზოგადოებისაკენ

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორმხრივი მიმართულება არ ნიშნავს, რომ ასპაზია რომელიმე მხარეს დგას და რომელიმე ფენას ეკუთვნის: ჯერ ერთი, ასპაზია პერიკლეს მეგობარი იყო და ის კი არ ფლობდა, არამედ მას ფლობდა ძალაუფლების განსხვაულება პერიკლეს სახით, მეორეც, ასპაზია ინტელექტუალთა თავშეყრის ადგილის მფლობელი იყო, და არამც და არამც, ინტელექტუალთა მფლობელი.

ასპაზიას ორი ბუნებიდან ცალ-ცალკე არცერთი არ მიუთითებს რაიმე განსაკუთრებულზე. მაგრამ ორბუნებოვნება დამაფიქრებელია და მედიაციის ისტორიის დასაწყისის ზუსტი მონიშვნის შესაძლებლობას გვაძლევს:

თუკი საზოგადოება-სახელმწიფოს ურთიერთობას განვიხილავთ, როგორც მედიაციური მექანიზმების ძებნის ქრონიკებს<sup>6</sup>, ასპაზიას და მისი სახლის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, როლი გასაგები გახდება: ათენში არსებობდა ერთი მხრივ საზოგადოება, რომელიც მაღალი ინტელექტის მატარებელი ხალხისგან შედგებოდა, და მეორე მხრივ, მმართველობა. ისევე როგორც ყველა საზოგადოებაში, ათენის საზოგადოებასაც პქონდა სურვილი პოლიტიკურ-სოციალური გადაწყვეტილებების ჩამოყალიბებაში და სახელმწიფო მართვის პროცესში მიეღო მონაწილეობა. ინტელექტი და ძალაუფლება ათენის სივრცეში ემპირიულად მამაკაცურნი იყვნენ. ამიტომ, არც თეორიულად, არც პრაქტიკულად და არც ტრადიციის მიხედვით, მათი პირდაპირი შერწყმა არ ნიშნავდა თანაბარუფლებიანობას და თანასწორობას. ეს ათენის საზოგადოებამ კარგად იცოდა ერთ-ერთი საკუთარი სოციალური ინსტიტუტის – მოსწავლე-მასწავლებლის მიმართების – მაგალითზე, რომელიც ისტორიის რაღაც მომენტში ლეგეტიმიზირდა როგორც პომოსექსუალისტური ურთიერთობა.

ასე რომ, ათენის საზოგადოებამ იცოდა, რომ ძალაუფლებასთან პირდაპირი კონტაქტის შემთხვევაში, ის აღმოჩნდებოდა ნახმარი, გამოყენებული, თანაც ისე, რომ მხოლოდ მტკიცნეული შეხება ექნებოდა გადაწყვეტილების მიღებთან და მმართველთან, და არანაირი – გადაწყვეტილების მიღებასთან და მართვასთან.

ამ ფონზე ასპაზიას ფენომენი სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იღებს: ასპაზია არის ქალი, რომელსაც ორივე მხარესთან, ანუ, ორივე მამაკაცურ საწყისთან აქვს კონტაქტი: ის გვევლინება შუალედურ, მედიაციურ სხეულად საზოგადოების და ძალაუფლების ურთიერთობაში. ასპაზიას სახლი არის ადგილი, ასპაზიას ადგილი, სადაც შედიან ინტელექტუალები. ასპაზიას ტანი არის ის ადგილი, სადაც პერიკლე მოდის ხოლმე. ტანი

<sup>6</sup> სახელმწიფოს მხრიდან გაშუალების, დაძაბულობის შესუსტების მიზნით, ხოლო საზოგადოების მხრიდან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში და სახელმწიფო მართვის პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით

გადასცემს პერიკლეს მიღებულ გამოცდილებას და ინფორმაციას, ხოლო პერიკლე უზიარებს მას საკუთარ ძალას.

ერთ ტანთან ურთიერთობა და ერთ ადგილში ყოფნა არის ის, რაც ათენელ ინტელექტუალებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სახელმწიფო მართვაში მონაწილეობის, ხოლო პერიკლეს – დემოკრატად ყოფნის საშუალებას აძლევდა.

შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ლიზიკლეს სიკვდილის შემდეგ ასპაზიაც ქრება ისტორიის სცენიდან. მაგრამ ამის შესახებ შემდგომ.

\* \* \*

XVI საუკუნის ბოლოს, XVII საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში იზრდება ქალის შეფასება, მიმდინარეობს კამათი მისი როლის შესახებ, ქალი იქცევა კულტის საგნად: ამ მოვლენას ემთხვევა ლიტერატურული სალონების წარმოშობაც. თავიდან სალონი ვიწროდ ლიტერატურულია, მაგრამ სალონის დიასახლის-დედოფლად ქალის გამოცხადება მას თანდათან პოლიტიკურ ელფერს სძენს: სალონებში დადიან მეფეები, პრინცები, ზოგი სალონი დედოფლისაა, არსებობს ოპოზიციური სალონები, და ა.შ. მაგრამ ამ მრავალფეროვანი სალონების ფონზე ერთი რამ უცვლელად რჩება: ქალი, რომლის ადგილიც სალონია და რომელიც სალონის ცენტრია.

ფრანგული სალონი ძალაუფლებაში თანაზიარობის ისეთივე ინსტიტუტია, როგორც ასპაზიას სახლი. იგულისხმება, რომ ძალაუფლება აქვს კაცს<sup>7</sup>, საზოგადოებამ იცის, რომ საკუთარი ტანის (სხეულის) ძალაუფლებისათვის შეთავაზებით გახდება არა ძალაუფლების თანამფლობელი, არამედ ძალაუფლების სამფლობელო<sup>8</sup>. ანუ, ძალაუფლებასთან პირდაპირი ურთიერთობით ინტელექტუალები და ლიტერატორები მხოლოდ სხეულს თუ გასცემდნენ და ვერ გახდებოდნენ ძალაუფლების თანაზიარები. ამიტომ, საჭირო იყო ქალი, რომლის სხეული იქნებოდა როგორც სალონის, ასევე, ძალაუფლების სუბიექტის კუთვნილებაც. შემთხვევითი არ არის, რომ საფრანგეთში ლიტერატურული სალონის წარმოშობა ქალის სხეულის და სილამაზის კულტის დასაწყისს ემთხვევა. – ერთ ტანთან და ერთ ტანში ყოფნით სალონისტებს ძალაუფლებასთან ზიარების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საშუალება ეძლეოდათ.

ასპაზიას სახლისაგან განსხვავებით, რომელიც ერთადერთი იყო ათენში, სალონები საკმაოდ მრავლად იყო საფრანგეთში. ამის განაპირობებდა, ერთის მხრივ, ინტელექტუალთა

<sup>7</sup> მეფეს, კონსულს, იმპერატორს

<sup>8</sup> ამ მხრივ საბერძნეთზე არაკლები გამოცდილება ჰქონდათ ევროპაში.

რიცხვი, რომლებიც ფიზიკურად ვერ დაეტეოდნენ ერთ სახლში, ხოლო მეორე მხრივ, პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ფიგურების<sup>9</sup> სიმრავლე.

შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთში არსებობდა სალონების ქსელი, რომელიც მეტ-ნაკლებად განაპირობებდა საზოგადოების წევრების ქვეყნის მართვის პროცესში მონაწილეობას.

მაგრამ ისევე, როგორც ეს ისტორიულად ემართება ხოლმე მედიაციურ მექანიზმებს, ძალაუფლებამ შეითვისა სალონი და საკუთარი ტანის ინსტიტუციონალურ ნაწილად გადააქცია. ასე დაემართა ასპაზიას – ის პერიკლემ ცოლად მოიყვნა. ასევე დაემართად ფრანგულ სალონებს, რომლებიც ოფიციალურ სახელმწიფო სალონებად გადაკეთდენ<sup>10</sup>.

ამდენად, ასპაზიას სახლს და ფრანგულ სალონს ერთი და იგივე ფუნქცია ჰქონდათ: ერთი მხრივ, ისინი უზრუნველყოფნენ ინტელექტუალთა და ოპოზიციონერთა მონაწილეობას სახელმწიფო მართვაში, ხოლო მეორე მხრივ, განსაზღვრავდნენ საზოგადოების საზოგადებრიობას, ანუ, საზოგადოების წევრი იყო მხოლოდ ის, ვინც დადიოდა ასპაზიას სახლში და სალონში<sup>11</sup>.

სალონის გაუქმება და მისი გავლენის კლება<sup>12</sup> პირდაპი კავშირში იყო სახელმწიფო მართვაში მონაწილეობის მსურველთა ზრდასთან. ეს კი ნიშნავს, რომ სალონური საზოგადოება უქმდება მას შემდეგ, რაც ის ველარ წარმოადგენს საზოგადოებას<sup>13</sup>. ამ შემთხვევაში სალონი გვევლინება არა საზოგადოებად, არამედ, მრჩეველთა საბჭოდ, რომელიც ძალაუფლება-ხელისუფლებასთან არსებობს; სალონი გარდაიქმნება ხელისუფლების ორგანოდ, ანუ, ძალაუფლების სახმარ იარაღად. ხოლო გადაწყვეტილების მიღების და მართვის პროცესში მონაწილეობის მსურველები, რომელიმე XY სალონის სახით, რჩებიან ძალაუფლების გარეთ, ანუ, ფუნქციის გარეშე. ბუნებრივია, ამის შემდეგ, იბადება ამ ფუნქციის აღდგენის სურვილი, რაც გამოიხატება რევოლუციით – უირონდისტები სალონში იკრიბებოდნენ.

<sup>9</sup> ძალაუფლების რეპრეზენტატორების

<sup>10</sup> მაგ. 2 დეკემბრის გადატრიალების შემდეგ შეიქმნა სახელმწიფო მინისტრის სალონი, საკანონმდებლო კორპუსის პრეზიდენტის სალონი და ა.შ.

<sup>11</sup> საფრანგეთის შემთხვევაში, ის, რომელიც გაერთიანებული იყო სალონების ქსელში.

<sup>12</sup> იგივე შეიძლება ითქვას ასპაზიას სახლზეც

<sup>13</sup> ანუ, როდესაც საზოგადოების, ანუ, პოლიტიკურ-საზოაგდოებრივი გადაწყვეტილების მიღებაში და სახელმწიფო მართვაში მონაწილეობის მსურველების თუნდაც უმნიშვნელო ნაწილი დარჩენილია სალონს და სალონურ ქსელს გარეთ.

ამიტომ, სალონი იმიტომ კი არ კვდება, რომ სალონის მნიშვნელობა მცირდება: პირიქით, სალონის არსებობის გამო უზომოდ იზრდება სალონში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი და სალონური ქსელი ვეღარ აკმაყოფილებს ყველა მსურველს.

\* \* \*

როგორც გამოირკვა, მედიაციური მექანიზმის მიზანი ოპოზიციური ელემენტების ერთმანეთთან მაქსიმალური დაახლოება და ჩართულობის უზრუნველყოფა ყოფილა. მაგრამ ეს მიზანი, რომელსაც მედიაციური მექანიზმი, როგორც წესი, აღწევს, ხიფათსაც შეიცავს: მედიაციის მექანიზმი შეიძლება გახდეს ან მხოლოდ ძალაუფლების ნაწილი, ან მხოლოდ საზოგადოების<sup>14</sup> გამაერთიანებელი. ეს კი აუქმებს მას, როგორც მედიაციურ მექანიზმს და სახელმწიფო-საზოგადოების კონფლიქტის ესკალაციის საფუძვლად აქცევს.

ასეთი ტიპის დევიაციები<sup>15</sup> იწვევენ სტაბილური, შეურყვნელი მედიაციური მექანიზმების არსებობის სურვილს, რომელიც, როგორც წესი, ძალაუფლების მხარეში წარმოიშობა, როგორც სტაბილურობის სტაბილური სოციალური გარანტის მოთხოვნილება.

საზოგადოება, ისევე როგორც სახელმწიფო, სოციალური ინსტიტუტია. როგორც ერთი, ასევე მეორე, ისაზღვრებიან ერთმანეთთან ოპოზიციაში. ანუ, ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ არსებობენ. ეს ორმხრივი განსაზღვრულობა კი მოგვითითებს, რომ საზოგადოება არის სახელმწიფო სივრცეში არსებული ხალხის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ან მხოლოდ თავისი არსებობის ძალით, ან შეგნებულად, მონაწილეობს პოლიტიკურ-სოციალური გადაწყვეტილების მიღების და განხორციელების პროცესში.

ამიტომ, ყველაზე უფრო სტაბილური და ეფექტური მედიაციური ინსტიტუტი ისეთი უნდა იყოს, რომელიც მისცემს საშუალებას ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერ დროს ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ანუ, საზოგადოებაში. თანაც, ამავე დროს პრინციპულად უნდა იყოს გამორიცხული ამ მედიაციური ინსტიტუტის დევიაცია რომელიმე მხარეს.

ამ როლს სალონი კარგა ხანი ასრულებდა. მაგრამ ალბათ იმის გამო, რომ სალონის ცნობრალური ფიგურა, ანუ, ის წერტილი, სადაც ოპოზიციური ელემენტების<sup>16</sup> გადაკვეთა ხდებოდა, იყო ცოცხალი ადამიანი, ცოცხალი ტანის, სურვილების და ა.შ. მქონე, მას გამორიცხული იყო არ დაეკარგა წონასწორობა. ბოლოს და ბოლოს, შეუძლებელია ორივე მხარის ერთნაირი დაკმაყოფილება. მაშასადამე, სალონის, როგორც მედიაციური ინსტიტუტის

<sup>14</sup> პოლიტიკურ-სოციალური გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის მსურველების

<sup>15</sup> გადახრები

<sup>16</sup> სახელმწიფოს და საზოგადოების

აქტუალური ფორმის გამოცდილება გვეუბნება: მედიაციურ ტანს უნდა გაუქრეს სურვილები, ის უნდა იქცეს მხოლოდ ტანად, სურვილების და მოთხოვნების გარეშე.

\* \* \*

არ არსებობს სოციალური ინსტიტუტი, რომელსაც არ გაევლოს მედიაციის სტადია და რომელიც საბოლოოდ არ ჩამოყალიბდა, როგორც რომელიმე მხარის – სახელმწიფოს ან საზოგადოების ნაწილი<sup>17</sup>. მაგრამ ჩვენს სინამდვილეში არსებობს ინსტიტუტი, რომელიც ვერასოდეს ვერ გადაიხრება რომელიმე მხარეს. განსხვავებით სხვა მედიაციური ინსტიტუტებიდან, რომელბიც თვითონ იქმნებოდნენ, და სახელმწიფო მხოლოდ შემდეგ იყო იძულებული მათში მიეღო მონაწილეობა, ეს თანამედროვე ინსტიტუტი სახელმწიფოს მიერაა შექმნილი და მის “შეურყუნელობას და გადაუხრელობას” თავად სახელმწიფო იცავს საკუთარი კანონებით. ეს ინსტიტუტი არის სამოქალაქო საზოაგდოება.

სამოქალაქო საზოგადოება აკმაყოფილებს მედიაციური მექანიზმის ყველა მოხვენას: 1) სალონურია, ანუ, წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს<sup>18</sup> 2) ღიაა ნებისმიერი მსურველისათვის<sup>19</sup>. ანუ, სამოქალაქო საზოაგდოება ვერასოდეს ვერ გახდება ჩართვის და მონაწილეობის მსურველებზე უფრო პატარა.

ჩვენს სინამდვილეში სალონის დიასახლისის-დედოფლის, ანუ, რეალური ტანის და სხეულის ადგილს იკავებს სახელმწიფოს მართვის პროცესი<sup>20</sup>, რომელიც დღეისდღეობით ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოების ყველა წევრს მოუწოდებს შემოერთებისაკენ და ჩართვისკენ. შეიძლება აღვწეროთ მსგავსება და განსხვავება სალონის დედოფალსა და სახელმწიფო მართვის პროცესს შორის:

მსგავსება ის არის, რომ, როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან, მასთან ურთიერთობა ლეგიტიმურია და მისაღები.

<sup>17</sup> იქნება ეს ჯარი, სასწავლებელი, ეკლესია, პოლიცია თუ სხვა

<sup>18</sup> ისინი გამოიყურებიან, როგორც სალონები დედოფლების გარეშე, რომლებსაც, სახელმწიფო კანონების მიხედვით აქვთ უფლება და საშუალება ჩაერთონ სახელმწიფო მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

<sup>19</sup> სახელმწიფო კანონები უსასრულოდ ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციის და სამოქალაქო ინიციატივის შექმნა-ჩამოყალიბების საშუალებას იძლევან.

<sup>20</sup> განსაზღვრული იმ კანონების კრებულით, რომლებიც უზრუნველყოფენ სამოქალაქო საზოაგდოების ჩართვას პოლიტიკური გადაწყვეტილებების და სოციალური მართვის პროცესში

განსხვავება ის არის, რომ სახელმწიფო მართვის პროცესი შეიძლება არეგულირო ყოველ კონკეტულ შემთხვევასთან მიმართებაში: გაბერო ისე, რომ თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი გახადო, ანდა დაჩუტო. ეს შეუძლებელია უქნა სალონის დედოფალს და შესაბამისად სალონს: ის ცოცხალია და ყოველთვის თვალწინაა.

მსგავსება ის არის, რომ ორივე, სალონის დედოფალიც და სახელმწიფო მართვის პროცესიც, უზრუნველყოფს სუბიექტების შემოკრებას საკუთარი თავის გარშემო.

განსხვავება ის არის, რომ სახელმწიფო მართვის პროცესის გარშემო საზოგადოების მხრიდან იურიდიული სუბიექტები<sup>21</sup> იკრიბებიან, რომლებსაც ისევე, როგორც გასაბერ ტანს, არა აქვთ “თანმობილი” და “ბუნებრივი” სურვილები.

ასე რომ, სალონის დედოფლის ცოცხალი ტანი ჩვენს გარემოში ჩანაცვლებულია სახელმწიფო მართვის პროცესით, ანუ, გასაბერი ტანით, რომელსაც არა აქვს სურვილები და მთლიანად გამბერავს ემორჩილება.

თანაც, სამოქალაქო საზოგადოება და მისი “დედოფალი”, ანუ, სახელმწიფო მართვის პროცესი პრინციპულად ჩაუნაცვლებელია. როგორც კი ვინმე კონკრეტული თუ იურიდიული სუბიექტი მოინდომებს მედიაციური ცენტრის ჩანაცვლებას, ანუ, მართვის საზოგადოებრივი ნაწილის სადავების ხელში აღებას, ის აუცილებლად იქნება გამოყენებული-ნახმარი ხელისუფლების მიერ, გადაიხრება მისკენ და დაკარგავს მედიაციურობასთან მსგავსებასაც კი.

\* \* \*

ბოლოს, რაც შეეხება ლიზიკეს სიკვდილის შემდეგ ასპაზიას<sup>22</sup> გაქრობას: ასპაზიას დოკუმენტურმა ბედმა უცნაურად და ჯადოსნურად განსაზღვრა მომავალი ისტორია; ძალაუფლებასთან მჭიდრო კავშირმა იმდენად გაუიგივა მედიაციის ყოფილი ტანი ძალაუფლებას, და შესაბამისად, საზოგადოება მედიაციის ცენტრალურ ფიგურას, რომ ძალაუფლება მთლიანად დაემთხვა საზოგადოებას. შედეგად, მცირე წნით, მივიღეთ ათენური პირდაპირი დემოკრატია.

<sup>21</sup> არასამთავრობო ორგანიზაციები და გაფორმებული სამოქალაქო ინიციატივები

<sup>22</sup> ისტორიულ წყაროებში ასპაზიას შესახებ ცნობების გაქრობას

## **History of Mediation**

### **Episode I.**

#### **Saloon**

##### *Summary*

Episode I of the history of mediation takes us in the theme of saloons. The author analyses saloons, as mediation instrument, from Aspasia's (Perickle's girl friend, then wife) house to the literary and art saloons of the end of the XIX century, and tries to prove that the function of mediation between government and society belonging to something like saloon in ancient Greece, and to saloons in the Europe after XVI century, now is held by the network of civil society institutions. Comparative analyses of the central bodies of saloons gives to the author possibility to define contemporary mediation instruments (including civil society) as inflatable bodies, in difference to the real, physiological bodies of mistresses of the before existing saloons.

**Gigi Tevzadze** - Prof. Dr. Philos. Tbilisi State University, Department of Philosophy and Sociology. b. 1967; Tbilisi. Head of the Group for Investigation of Contemporary Consciousness of the Department of Philosophy and Sociology, Tbilisi State University. Editor of the journal "Parallel texts – *Philosophy and Society*" (bilingual [English – Georgian] edition). 1997 – 1999 – Head of the Research department of the Parliament of Georgia. Author of the Books: "Our time, Sphinx and Zeno's Arrow (Aesthetics of Consciousness)" Tbilisi, 1993; "Signs of Future (Aesthetics of Being)" Tbilisi, 1995. Author of articles about civil society, political philosophy, contemporary philosophy.